საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №18(176) 2018 წ. 16-30 სექტემბერი ფასი 50 თეთრი

სწავლა განახლდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ოცდაექვსივე საჯარო სკოლაში

გილოცავთ!

დაბადების დღეს ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს **ოთარ ჩალათაშვილს.**

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს, ბედნიერებას, წარმატებულ და ნაყოფიერ სამსახურეობრივ საქმიანობას, კარიერულ წინსვლას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო;
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს **პაატა ასრათაშვილს** გულითადად ვულოცავთ დაბადების დღეს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს პირად ცხოვრებასა და სამსახურეობრივ საქმიანობაში. დაე, დიდხანს ეღვაწოს ჩვენი მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის საკეთილდღეოდ!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია;
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

სტუმრები ლიეტუვის რესპუბლიკიდან

მეგობრობა გრძელდება და კვლავაც გაგრძელდება

24 სექტემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტს 4 დღიანი ოფიციალური ვიზიტით ეწვია ლიეტუვის რესპუბლიკის შირვინტუსის მუნიციპალიტეტის დელეგაცია - შირვინტუსის მერის ჟივილე პინსკუვიენეს, მუნიციპალიტეტის საბჭოს დეპუტატის დარიუს ვალკაუსკასის, მერიის ადმინისტრაციის უფროსის ინგრიდა ბალტუშაიტე-ჩეტრაუსკიენესა და საერთაშორისო საკითხებში მერიის სპეციალისტის აუშრინე მილიუკაიტე-ჯანოვსკიენეს შემადგენლობით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში დელეგაციას საზეიმო დახვედრა გაუმართეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა, მერის მოადგილეებმა ალექსი გილაშვილმა და პაატა ასრათაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ოთარ ჩალათაშვილმა, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებმა. ხელოვნების სკოლა „ჰი რე ლას“ აღსაზრდელებმა სტუმრების საპატივსაცემოდ ლიეტუვური ხალხური სიმღერა შეასრულეს.

საზეიმო დახვედრა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის სამუშაო კაბინეტში გაგრძელდა. გიორგი ერბოწონაშვილმა საპატიო სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. ჟივილე პინსკუვიენემ მასპინძლებს სუვენირები უსახსოვრა.

მხარეებმა ისაუბრეს ორი მუნიციპალიტეტის დამეგობრების მნიშვნელობის და სამომავლო, ურთიერთსასარგებლო პერსპექტივების შესახებ. საგარეჯოს და შირვინტუსის მუნიციპალიტეტების მერებმა ხელი მოაწერეს ორმხრივ შეთანხმებას, რომლის მიზანია საჯარო მართვისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში გამოცდილების ურთიერთგაზიარება, თანამშრომლობა ახალგაზრდული პოლიტიკის, სპორტისა და კულტურის საკითხებში. ამასთან, ხსენებული ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მოხდება ინფორმაციის გაზიარება ორივე მუნიციპალიტეტის ისტორიის, კულტურისა და ღირსშესანიშნაობათა შესახებ.

დღევანდელი დღე დატვირთული იყო მთელი რიგი შემეცნებითი და კულტურული ღონისძიებებით. შირვინტუსის დელეგაციის წევრებს მასპინძლობა გაუწიეს: გიორგი ერბოწონაშვილმა, ალექსი გილაშვილმა, პაატა ასრათაშვილმა, ოთარ ჩალათაშვილმა, საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსმა მანანა ცუცქირიძემ, მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსმა არჩილ ჯაბადარმა, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა როსტომ ბაქრაძემ, ქალაქ საგარეჯოში მერის წარმომადგენელმა იოსებ მარხვაშვილმა, მერიის ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობების და საერთაშორისო პროექტების განყოფილების უფროსმა ლევან ნიჟარაძემ, ამავე განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა ნინო ქურხულმა და მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ბელა ხანგოშვილმა.

სტუმრებს თავდაპირველად ქალაქ საგარეჯოს მეოთხე საჯარო სკოლა დაათვალიერებინეს, სადაც შეხვდნენ სკოლის დირექტორს, პედაგოგებსა და მოსწავლეებს. სკოლაში ვიზიტის დროს, ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განათლებასა და მომავალი თაობის აღზრდას, რისთვისაც საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობასთან. სტუმრებმა მოინახულეს სკოლის დირექტორის ნელი ბალახაშვილის ინიციატივით შექმნილი მცირე ისტორიული მუზეუმი, ე.წ. „მომავლის კლასი“ და სკოლის დერეფანში წარმოდგენილი მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრები. მოსწავლეებმა ეროვნული ქორეოგრაფიული და მუსიკალური ნომრები წარმოადგინეს.

სტუმრებს ასევე მოეწონათ და მადალი შეფასება მისცეს უძველეს ისტორიულ-კულტურულ ძეგლს - ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსს.

შირვინტუსის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების დაინტერესება აგრეთვე გამოიწვია ქართული ღვინოების წარმოების პროცესმა, რაც მათ დეტალურად გააცნეს სოფელ პატარძეულთან მდებარე საწარმოში „კახეთის ტრადიციული მეღვინეობა“.

საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობებზე საუბარი გაგრძელდა სოფელ თოხლიაურში არსებულ, ახლად გახსნილ საოჯახო სასტუმრო „ვინერიაში“. სტუმრებმა და მასპინძლებმა სიმბოლურად ქართული ჩურჩხელებიც ამოავლეს.

უამრავი ახალი ინფორმაციითა და ემოციებით დატვირთული დღის მიწურულს, დელეგაციის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს გულისხმიერ მასპინძლებს და დაჰპირდნენ, რომ უაღრესად საინტერესო ქვეყნის - საქართველოს, განსაკუთრებით კი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შესახებ ინფორმაციას აუცილებლად გააცნობენ შირვინტუსის მოსახლეობას.

ვიზიტმა კიდევ 3 დღეს გასტანა, რაც არანაკლებ საინტერესო ღონისძიებებით იქნა დატვირთული.

სანდრო უსტიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

14 სექტემბერი, 2018 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 სექტემბრის რიგგარეშე სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე* ლელა მარიდაშვილი** უძღვებოდა.

დღის წესრიგის გაცნობისა და კენჭისყრის შემდეგ პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" მოხსენება გააკეთა ***საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ* ზურაბ უსტიაშვილმა.** როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საკითხის გაცნობისა და კენჭისყრის შემდეგ აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილებები შევა შემდეგი რედაქციით:

მუხლი 161. საკრებულოში ანაზღაურებაზე მყოფი საკრებულოს წევრების შვებულება:

საკრებულოში ანაზღაურებაზე მყოფ საკრებულოს წევრებს (საკრებულოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეს, საკრებულოს კომისიათა და ფრაქციათა თავმჯდომარეებს) „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის ანალოგიით მიეცემათ შვებულება ანაზღაურებით და ანაზღაურების გარეშე;

საკრებულოს თავმჯდომარის, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების შესახებ გადაწყვეტილებას, დამსწრე წევრთა უმრავლესობით იღებს საკრებულო;

საკრებულოს თავმჯდომარის მიერ შვებულების მოთხოვნა შეიძლება გახდეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის საფუძველი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის და საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეების მიერ შვებულების მოთხოვნის შესახებ წარდგენილი განცხადების დაკმაყოფილებაზე გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს თავმჯდომარე;

ფრაქციათა თავმჯდომარეების შვებულების საკითხს, ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წყვეტს ფრაქციის სხდომა. აღნიშნულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების სხდომის ოქმი ორ სამუშაო დღეში წარედგინება საკრებულოს თავმჯდომარეს, ხოლო ფრაქციის სხდომის ჩატარებიდან უახლოეს საკრებულოს სხდომაზე – საკრებულოს, რომელსაც საკრებულო იღებს ცნობად, კენჭისყრის გარეშე".

დღის წესრიგის II „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" და მესამე საკითხზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის პრაქტიკულად გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ბეჭდური სახით გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე განცხადების ფორმის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" მოხსენებები გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა* გიორგი გოგოჭურმა**. როგორც მან აღნიშნა: – სხდომაზე წარმოდგენილი გვაქვს ორი დადგენილების პროექტი. პირველი დადგენილების პროექტით ცვლილება შედის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ორგანოების და საჯარო დაწესებულებების

დასასრული მე-3 გვერდზე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირები

18 სექტემბერი, 2018 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის თათბირს ***ამავე მუნიციპალიტეტის მერი* გიორგი ერბოწონაშვილი** უძღვებოდა. თათბირს მერის მოადგილეები, მერიის სამსახურებისა და განყოფილებების უფროსები, სოფლებში მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მუნიციპალიტეტში კამპანიის „რთველი-2018"-ის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციები გააკეთეს იმ სოფლების მერის წარმომადგენლებმა, სადაც უკვე დაიწყო რთველი. მოკლე მიმოხილვა გაკეთდა იმ ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობაზე, რომლებიც მანავში (ხიდის მშენებლობა), კაკაბეთსა (სასმელი წყლის სისტემა) და ყანდაურაში (ყანდაურა-ვერხვიანის დამაკავშირებელი გზა) მიმდინარეობს.

თათბირზე საუბარი შეეხო სოფელ მანავში ე.წ. „ბურდიანის დასახლებაში" არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობის ერთი ნაწილის სამომავლოდ რეაბილიტაციისთვის. ასევე, მოისმინეს მერის წარმომადგენლის სოფელ თოხლიაურში ვაჟა გიგაურის ინფორმაცია სოფელში არსებული ყოფილი ბიბლიოთეკის შენობის ავარიულობის შესახებ, რომლის დემონტაჟს მოსახლეობა ითხოვს, რათა თავიდან იქნას აცილებული უბედური შემთხვევა.

თათბირზე განიხილეს სხვადასხვა საკითხები და კონკრეტული დავალებები მიეცათ შპს „საგარეჯოსა" და აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების რეგულირების და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის" დირექტორებს.

25 სექტემბერი, 2018 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის მერის I მოადგილე* ალექსი გილაშვილი** უძღვებოდა.

თათბირის დასაწყისში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ნიკო ჯავახიშვილმა მოკლე მიმოხილვა გააკეთა მუნიციპალიტეტში მიმდინარე რთვლის შესახებ. როგორც მან აღნიშნა, რთველი ძალაში შევიდა, მევენახეები მოწეული ყურძნის მოსავალს თავიანთი სურვილისდა მიხედვით აბარებენ ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ ქარხნებს, ნაწილი კი ბაზარზე ყიდის. ფასები ყურძნის ხარისხისდა მიხედვით ყოველდღიურად იცვლება, თუმცა ყურძნის ფასები მევენახეთა ნაწილისთვის მისაღებია. საფერავის ფასმა 24 სექტემბრისათვის 1 კგ-ზე 2.20-2.30 ლარი შეადგინა. რთველი შეუფერხებლად მიმდინარეობს. შიბლიანის მოსახლეობის ერთი ნაწილის – 30 ჰა-ზე18 სექტემბერს ძლიერი სეტყვით დაზიანებული რქაწითელის ჯიშის ყურძენი ქარხნებმა ოპერატიულად, შემჭიდროებულ ვადებში ჩაიბარეს.

თათბირზე ალექსი გილაშვილმა დიდი ყურადღება და მნიშვნელოვანი დრო დაუთმო იმ პრობლემების განხილვას და მათი მოგვარების გზებს, რომლებიც მერის წარმომადგენლებმა სოფლებში – კოჭბანში, ყანდაურაში, გიორგიწმინდასა და გომბორში წარმოადგინეს. დაისახა პრობლემების მოგვარების გზები და კონკრეტული დავალებები მიეცა შპს „საგარეჯოს" დირექტორს თამაზ კუჭუაშვილს.

სოფლის მეურნეობა

„რთველი-2018“ დაიწყო

**** როგორია მევენახეთა პროგნოზები?***

**** როგორია შხამქიმიკატების ხარისხი?***

**** ყურძნის შესასყიდი ფასები დასარეგულირებელია***

შემოდგომის ძალაში შესვლასთან ერთად კახეთში თანდათან ჩაღდება რთველიც. 17 სექტემბრიდან ყურძნის კრეფა მასიურად ჩვენს მუნიციპალიტეტშიც დაიწყო, რასაც კახეთის გზატკეცილზე, სოფლების ბოლოს ჩაყენებული სხვადასხვა ჯიშის ყურძნის ჩამბარებელთა მანქანების სიმრავლეც მოწმობს. თვითონ გზატკეცილზეც მომრავლდნენ თბილისისა თუ თელავის მიმართულებით მიმავალი, ყურძნით დატვირთული მადალი გამავლობის მანქანები.

როგორც ცნობილია, წელს ბუნებამ მეტად დაადალატა ჩვენი მევენახეები. არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, მათ წელს თითქმის გაორმაგებული შრომა და ხარჯები დასჭირდათ იმისათვის, რათა ვაზის მავნებელ-დაავადებებისგან დაეცვათ ვენახები. მევენახეთა ნაწილმა კი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, რასაც ამ დარგის სპეციალისტთა გამოკვლევა სჭირდება, ვერ შეძლო შემხვედრ პრობლემებთან გამკლავება და წელს ყურძნის უხვი მოსავლის გარეშე დარჩა.

თუ რას ფიქრობენ და რას მოელიან წლევანდელი რთვლისაგან ჩვენი მევენახეები, რა აზრის არიან ყურძენზე გამოცხადებული შესასყიდი ფასების შესახებ, ამას მათი საუბრიდან შეიტყობთ (საუბარი ჩაწერილია 18 სექტემბერს).

ბ.ბ. (საბარეჯო): – მაქვს ერთ ჰექტარზე ცოტა მეტი ვენახი. რა თქმა უნდა, დაინტერესებული ვარ კარგი მოსავლის მიღებით, ამიტომაც კარგად ვუვლიდი, შხამქიმიკატებით მითითებულ ვადებში ვწამლიდი ვენახს. უკვე ოთხჯერ მქონდა შეწამლული და მეხუთედ შესაწამლად ვენახში ჩავედი და... სადღა იყო ყურძენი?! არადა, უხვად ესხა წელს ვაზებს, ისე, რომ მე რთველი ზაფხულშივე „ჩავატარე“ და ახლა მომცვრევაზე თუ ჩავალ – იმდენს კი მოვკრეფ, რომ როგორმე საშინაო საჭიროებისათვის მეყოს.

მე რა დავიჩივლო, ზოგიერთები მარცვალსაც ვერ მოწყვეტენ წელს ვენახში. არ ვიცი რას დავაბრალო ეს ამბავი – ბუნებრივ მოვლენებს თუ შხამქიმიკატები არის უხარისხო, ამის პასუხი არავინ იცის. ზოგს ნისიაზე ჰქონდა გამოტანილი შხამქიმიკატები და რით ან როგორ აანაზღაურებენ ამ თანხებს? კიდევ კარგი, მე ასეთი რამე არ დამჭირდა, თორემ ნამდვილად გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი. რაც შეეხება ყურძნის ფასებს, საფერავზე არსებული ფასები ასე თუ ისე მისაღებია, მაგრამ, ჩემი აზრით, თეთრი ჯიშის ყურძნებზე 1 ლარზე მეტი თუ არა, ნაკლები არ უნდა იყოს, რადგან არც ამ ჯიშის ყურძნის მოყვანას სჭირდება ნაკლები შრომა და მით უმეტეს წლევანდელი წლის პირობებში, ორმაგი მუშაობა და წამლობის ჩატარება დაგვჭირდა მევენახეებს.

კ. ა. (მანავი): – თეთრი ჯიშის ყურძნების წლევანდელი ფასები ძალზე დაბალია, იმ ფონზე, რომ მათ წელს ორმაგი წამლობა და მოვლა დასჭირდათ. ეხლანდელი ფასი ნამდვილად მიუღებელია. ერთ ჰა-ზე მეტი სუფრის ე.წ. „უწამლი ჯიშის“ ყურძნის ვენახი მაქვს. უწამლი კი არა, წამლობა ყველაზე მეტად ამ ჯიშის ყურძენს სჭირდება. თუ წინა წლებში 6-7-ჯერ ვწამლიდი, რომ როგორმე გადამერჩინა ყურძენი, წელს 11 წამლობა ჩავუტარე... ეხლა აცხადებენ, რომ მისი შესასყიდი ფასი 50 თეთრი იქნებაო და მგონი დიდი ჩაილურის ბოლოზეც ასე ჩაიბარეს. არ ვიცი, რა ვთქვა ამაზე. ეს 50 თეთრი მარტო იმ ვალების გასტუმრებასაც არ ეყოფა, რაც ბანკიდან მე და ბევრმა სხვამაც შხამქიმიკატების შესაძენად გამოვიტანეთ. საქმეს ისიც ართულებს, რომ წინა წლებში ყურძენი დასავლეთ საქართველოს რეგიონებში კერძო მყიდველებს მაინც გაჰქონდათ, წელს კი ისინიც შემცირდნენ. ასევე დაბალია „საფერავთან“ შედარებით „მწვანეზე“ და „რქაწითელზე“ გამოცხადებული ფასებიც.

ბ.ბ. (საბარეჯო): – წელს როგორი შრომაც დასჭირდათ და რაც დაემართათ ჩვენს მევენახეებს, ყველამ იცის. ამიტომ ვფიქრობ, რომ ყურძნის შესასყიდი ფასები უნდა აიწიოს, თორემ ბევრი მევენახე გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

ნ.კ. (მანავი): – ერთ ჰა-ზე ცოტა მეტი ვენახი მაქვს . იქ სხვადასხვა ჯიშის ვაზია გაშენებული. წელს თითქმის ორმაგი შრომა და ხარჯები დამჭირდა, რომ როგორმე ყურძენი აქამდე მომეყვანა. ღმერთის წყალობით ეს როგორც იქნა, შევძელი, თორემ ჩემს გვერდით ბევრს გაუფუჭდა ვენახი და ყურძენზე „ხელი დაიბანა“. მეზობლები არიან და ვიცი, ბევრს ვალზე ჰქონდა შეძენილი შხამქიმიკატები – ყურძნის მოსავლის იმედზე და ახლა რა ეშველებათ, არ ვიცი.

ეს საქმე კარგად ვიცი და შარშან ვიანგარიშე, თუ რა შემოსავალი მომცა ვენახმა. აღმოჩნდა, რომ საშუალოდ დღეში 12.70 ლარი გამოვიმუშავე, მაშინ როცა ერთი მუშის დღიური გამომუშავება 20-25 ლარი იყო. ეს შარშან და წელს, როცა გაცილებით მეტი შრომა გავწიე და დანახარჯიც მეტი მქონდა. არ ვიცი რა გამოვა. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, რომ იმათ, ვისაც შეუძლიათ ყურძნის ფასების დარეგულირება, ისეთი ფასები დააწესონ, რომ თანაბრად მისაღები იყოს მევენახეებისა და ყურძნის მიმღები ქარხნებისათვისაც, თორემ, თუ ასე გაგრძელდა, წინა წლებისა არ იყოს, მევენახეებს ხელში ისევ ცულის აღება მოუწევთ ვაზის გასაჩეხად.

დ.ა. : – ყურძნის წლევანდელი ფასები რომ მიუღებელია ჩვენი მევენახეებისათვის, ეს ყველასათვის ცხადია. ასევე, მოსაგვარებელია ის „პრაქტიკა“, რაც ყურძნის ჩამბარებელ ზოგიერთ ქარხანაზეა . ჯერ გამოაცხადებენ ხოლმე მაღალ ფასებს, მიიყვანენ ქარხანაზე მანქანებს და მერე დაბალ ფასებს უცხადებენ, რომ ადრინდელ ფასში ვერ მივიღებთ, თუ გინდა ჩაგვბარეთ, თუა არა და სადაც გინდათ იქ წაიღეთ თქვენი ყურძენიო. მევენახე, რომელსაც ცოტა შრომა და ხარჯი არ აქვს გაწეული ყურძნის მოყვანა-მიტანამდე, იძულებულია დათანხმდეს ამაზე და რა თქმა უნდა, წაგებულის როლში რჩება. იმედია, რომ ასეთი რამე ჩვენს რაიონში არ მოხდება, ყურძნის ჩამბარებელი მევენახეები წელს ამ პრობლემისგან მაინც იქნებიან დაცულები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

14 სექტემბერი, 2018 წელი

<u>**დასასრული**</u>

მიერ საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა თაობაზე განცხადების ფორმის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის №8 დადგენილებაში, რომლის ინიცირება განპირობებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2018 წლის 24 აგვისტოს სარეკომენდაციო წერილით. დადგენილების მოქმედ ვარიანტში გამიჯნულია დაწესებულება და კერძო სამართლის იურიდიული პირი, თუმცა, მართებულია, რომ ამგვარი გამიჯვნის ნაცვლად ზოგადად მიეთითოს – საჯარო დაწესებულება. კერძოდ, დადგენილებაში და დადგენილების დანართი №1-ში, სადაც მითითებულია დაწესებულებები და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირები, ყველგან მითითებული იქნას საჯარო დაწესებულება.

(საჯაროს მუხლი 3-კ.) საჯარო დაწესებულება – სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და შესაბამისი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, აგრეთვე მის წინაშე ანგარიშვალდებული/მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაცია, ასევე სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თუ იგი არის შესაბამისი დონის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის / ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია და მასში მუშაობენ საჯარო მოსამსახურეები;)

მეორე დადგენილების პროექტით ცვლილება შედის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის №5 დადგენილებაში, რომლის ინიცირება განპირობებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2018 წლის 24 აგვისტოს სარეკომენდაციო წერილით. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მოქმედი ვარიანტის პირველი თავის სათაური ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „სადაც რეგისტრირებულია 501-მდე ამომრჩეველი“. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 852 მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულია, რომ პროცედურა შესაძლებელია დაწესდეს იმ დასახლებისათვის, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 500-ს აღემატება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მოხდეს ჩასწორება და ნაცვლად 501-მდე ამომრჩევლისა“, მიეთითოს „აღემატება 500-ს“.

საკითხზე ქ. საგარეჯოში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 1988 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (მიწის/უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 55.12.76.203) ა.(ა).ი.პ საგარეჯოს სპორტული გაერთიანებისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა* ბიორბი ძურდოვანიძემ.**

საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა* არჩილ ჯაბადარმა.** წარმოდგენილი საკითხის განხილვა მიზნად ისახავდა იმ სამოქმედო გეგმის განხილვას და მიღებას, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მიერ შესაბამის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევადაა აუცილებელი.

სხდომაზე განხილულ საკითხებზე მიღებულ იქნა შესაბამისი დადგენილებები..

რთველი დაწყებულია, როგორია შედეგები?

მიმდინარე წლისთვის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში მთლიანობაში 5000 ჰექტარი მსხმოიარე ვენახია აღრიცხული, აქედან ყველაზე მეტ – 3200 ჰექტარზე გაშენებულია „რქაწითელის“, 1225 ჰექტარზე – „საფერავი“, 355 ჰექტარზე „მწვანეს“ და 2015 ჰექტარზე ჰიბრიდული ჯიშის ყურძენი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებით, 24 სექტემბრის მდგომარეობით, ვენახების აღნიშნული ფართობიდან დაკრეფილი იყო 1180 ჰა ვენახი, საიდანაც მიღებულია 7010 ტონა ყურძენი. აქედან „საფერავი“ დაიკრიფა 500 ჰა-ზე და მიღებულია 3000 ტონა, „რქაწითელი“ – 450 ჰა-ზე და მიღებულია 2700 ტონა, „მწვანე“ – 150 ჰა-ზე – მიღებულია 750 ტონა, ჰიბრიდული ჯიშის 80 ჰა-ზე და მიღებულია 560 ტონა ყურძენი.

ყურძენს იღებენ ბადიაურის, მანავის, („გიუაანი“, ბადაგონი, კახეთის ტრადიციული მეღვინეობა), საგარეჯოს „სამების“ სს „ბატონოს“, გილენას, ნინოწმინდის („კახეთი-3000“), სააქციო საზოგადოებების ყურძნისა და ღვინის პირველადი გადამუშავების ქარხნები.

ყურძნის შესასყიდი ფასები აღნიშნული დროისათვის საფერავზე – 2.20-2.30 ლარია, რქაწითელზე – 0.70 ლარი, მწვანე – 1 ლარი.

მიღებულ მოსავალს იბარებენ რაიონში მოქმედი ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნები, ნაწილს კი მოსახლეობა პირადი საჭიროებისათვის იყენებს.

გივი დაბახიშვილი

18 სექტემბრის მონაცემებით, კახეთში 92 ათასამდე ტონა ყურძენი გადამუშავდა

რთველის საკოორდინაციო შტაბის უფროსის ანდრო ასლანიშვილის ინფორმაციით კახეთში რთველი კვლავ აქტიურ პროცესშია და ყურძნის მოსავლის დაბინავება კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს.

დღეღამურად, საშუალოდ 5-6 ათასამდე ტონა ყურძენი მუშავდება საწარმოების მიერ, რთველი 2018-ის საკოორდინაციო შტაბში ამ დროისთვის 225 კომპანიაა დარეგისტრირებული. ყურძენი უკვე გადაამუშავა 175-მა დვინის კომპანიამ.

ყველაზე დიდი რაოდენობით ყურძენი გადამუშავდა ყვარლისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში – 27-27 ათასი ტონა, თელავი – 18,5 ათასი ტ., სიღნაღი – 8,4 ათასი ტ., დედოფლისწყარო – 3,8 ათასი ტ., ახმეტა – 3 ათასი, ლაგოდეხი – 1,5 ათას ტონამდე და საგარეჯო – 955 ტონა.

მთლიანად გადამუშავებული ყურძნიდან 52 ათასი ტონა საფერავი, 29 ათასი ტონა რქაწითელი, 1,5 ათასი ტონა კახური მწვანე და დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.

განათლება

საგარეჯოს ახლადრეაბილიტირებული სკოლა და ახალი სასწავლო წლის პირველი დღე

სკოლის 270 მოსწავლე ახალ გარემოში – ახალი გამოწვევებით

სარეაბილიტაციო-აღდგენითი სამუშაოების გამო ერთწლიანი „პაუზის“ შემდეგ საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლაში (დირექტორი ეთერ ქვრივიშვილი) სასწავლო პროცესი კვლავ განახლდა. სკოლაში სასწავლებლად მოსულ 270 მოსწავლესა და მათ პედაგოგებს ადგილზე დახვდათ თანამედროვე – ევროსტანდარტების დონეზე აღდგენილი სასკოლო შენობა, ლამაზად გაფორმებულ ფასადზე მიბნეული ნაირფერი ბუშტების რგოლებითა და ტრადიციული წარწერით – „გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!“

სკოლის ფოიეში თავმოყრილი მოსწავლეები, მათი მშობლები, პედაგოგები, დირექციის წარმომადგენლები მოუთმენლად მოელოდნენ საპატიო სტუმრებს და ისინიც სულ მალე გამოჩნდნენ. აქ, მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ამ სასიხარულო მოვლენისა და ახალი სასწავლო წლის დაწყების მისალოცად სკოლის საზეიმო ღონისძიებაზე მობრძანდნენ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი* გიორგი ერბოწონაშვილი, *მისი მოადგილეები* ალექსი გილაშვილი და პაატა ასრათაშვილი *მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე* ოთარ ჩალათაშვილი, *საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი* მანანა ცუცქირიძე, *საქართველოს პარლამენტის წევრი, საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი* რომან მუჩიაშვილი, *ქ. საგარეჯოში მერის წარმომადგენელი* იოსებ მარხვაშვილი.**

საზეიმო ღონისძიების დასაწყისში სკოლის მოსწავლეებმა დამსწრეთ მოკლედ გააცნეს იმ წარმატებების შესახებ, რაც ჩვენი რაიონის განათლების ამ ერთ-ერთ უძველეს სასწავლო დაწესებულებას გააჩნდა როგორც წინა, ისე გასულ სასწავლო წელს. სიამაყით აღინიშნა, რომ გასულ სასწავლო წელს სკოლამ გამოუშვა 5 ოქროსა და ორი ვერცხლის მედალოსანი მოსწავლე, ხოლო ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული სტუდენტებიდან

ერთმა უმაღლესი 100%-იანი გრანტი, სხვებმა კი სხვადასხვა სახის დაფინანსება მოიპოვეს. მათ სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის, დირექციის, პედაგოგ-მასწავლებელთა და თავიანთი მშობლების სახელით დიდი მადლობა გადაუხადეს საქართველოს მთავრობას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მსოფლიო ბანკის, მუნიციპალიტეტისა და საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელობას ახალი სასწავლო წლისათვის ასეთი საჩუქრისათვის.

საზეიმო ღონისძიებაზე გამოსულმა მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა სკოლის მოსწავლეებს, მათ პედაგოგებს, ადმინისტრაციის თანამშრომლებს, ზეიმზე მოსულ მოსწავლეთა მშობლებს მიულოცათ ახალი სასწავლო წლის დაწყება ახალ, თანამედროვე ევროსტანდარტების დონეზე რეაბილიტირებულ სასკოლო შენობაში, ხაზი გაუსვა იმ წარმატებებს, რასაც წლების მანძილზე აღწევენ ამ სკოლის პედაგოგები ქვეყნისთვის ღირსეული მომავალი თაობების აღზრდის საქმეში. მან აქვე აღნიშნა, რომ ისიც ამ სკოლის ყოფილი მოსწავლეა, ამიტომაცაა უფრო ახლობელი მისთვის და არც მომავალში დაიშურებს ძალისხმევას ამ სასწავლო დაწესებულების თანადგომის საქმეში.

ღონისძიებაზე შეკრებილ მოსწავლე-ახალგაზრდობას, მათ მშობლებსა და მასწავლებლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა პარლამენტარმა რომან მუჩიაშვილმაც. როგორც მან აღნიშნა, ერთ სასწავლო წელს შვიდი მედალოსნის გამოშვება, საიდანაც ხუთი ოქროსმედალოსანია, თავისით მეტყველებს ამ სკოლის პედაგოგ-მასწავლებლების დამსახურებაზე. მან სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობას და განსაკუთრებით აქ სასწავლებლად პირველად მოსულ 26 პირველკლასელს უსურვა წარმატებული ახალი სასწავლო წლის დაწყება და იმედი გამოთქვა, რომ ახლადრეაბილიტირებულ სკოლაში ჩვენი ქვეყნის მრავალი ღირსეული მოქალაქე აღიზრდება.

საქართველოს პარლამენტარის შემდეგ ზეიმის მონაწილეთ მიესალმა და მათ საქმიანობაში ეს სასიხარულო მოვლენა მიულოცა საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსმა მანანა ცუცქირიძემ. მან აღნიშნა ის დიდი წარმატებები და მიღწევები, რასაც სკოლის ხელმძღვანელობა და პედაგოგიური კოლექტივი აღწევენ თანამედროვე სწავლა-სწავლების ახალ-ახალი ინოვაციური მეთოდების დანერგვით მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში. როგორც მან აღნიშნა, ჩვენს რაიონში სულ წამყვანი პედაგოგის სტატუსის 5 მასწავლებელია და ერთ-ერთი მათგანი ამ სკოლის პედაგოგი ნათია მეკოკიშვილია, რომელსაც თავისი დამსახურებისა და მიღწევებისათვის საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის სიგელი გადასცა. აქვე მან დიდი მადლობა გადაუხადა ზეიმზე დამსწრე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, პარლამენტარს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელებს სკოლის შენობის რეაბილიტაციისათვის.

საზეიმო ღონისძიებაზე სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს მუსიკალური ნომრები, იცეკვეს, იმღერეს. განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად მეორეკლასელი მარიამ აგულაშვილის მიერ შესრულებულ სიმღერას და საერთოდ აქ გამოსული ყველა პატარა თავისებურად ლამაზი და მიმზიდველი იყო, რაც იმის გარანტიაა, რომ ჩვენი ქალაქის განათლების ამ განახლებულ უძველეს კერაზე კვლავაც დაფრთიანდებიან საქართველოს ღირსეული მომავალი თაობები.

გივი დაბახიშვილი

მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლე-ახალგაზრდობის განათლების კერები

იქ, სადაც ცოდნას მშობლიურ ენაზე და სახელმწიფო ენის შესწავლით ეუფლებიან...

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შვიდი აზერბაიჯანულენოვანი სოფლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეს ოთხი საჯარო სკოლა ემსახურება, რომლებიც ღირსეულად ართმევენ თავს მათ წინაშე მდგომ ამოცანებს.

მოსწავლეთა კონტიგენტით აზერბაიჯანულენოვანი დასახლების და მუნიციპალიტეტის უდიდესი საგანმანათლებლო კერაა **იორმუღანლოს საჯარო სკოლა** (***დირექტორი* ვაგიფ ახმედოვი**). იგი ერთ-ერთი პირველი ამ სახის დაწესებულებაა იორმუღანლოს ზონაში. სადღეისოდ სკოლა განთავსებულია ორ სასწავლო კორპუსში. ერთია გასული საუკუნის 60-70-იანი წლებში აგებული სამსართულიანი კორპუსი, რომელსაც ამ ორი წლის წინ მეორე ამდენივესართულიანი კორპუსი მიშენდა. ორივე კორპუსი თანამედროვე ევროსტანდარტების დონეზეა გარემონტებული.

სკოლას აქვს რამდენიმე თანამედროვე დონეზე აღჭურვილი კაბინეტი, ბიბლიოთეკა, ღია სპორტული მოედანი, საკუთარი გათბობის სისტემა და წყალმომარაგება, რომელსაც გასულ წლებში მოწყობილი

არტეზიული ჭის მეშვეობით იღებენ.

სკოლას საამაყოდ აქვს გამხდარი, რომ ახალი 2018-2019 წლისთვის აქ მუნიციპალიტეტში ყველაზე მეტი – 1389 მოსწავლე ჰყავთ, რომლებიც 57 საფინანსო კლასში გადანაწილდებიან, აქედან ხუთი კლასი მარტო პირველკლასელებს დაეთმობათ. მეთორმეტე, დამამთავრთებელ კლასში ამ წელს 56 მოსწავლე ისწავლის. სკოლაში აზერბაიჯანულენოვანის პარალელურად სწავლება ქართულ სექტორზეც იწარმოებს, სულ 14 კლასში.

ახალი სასწავლო წლიდან, სკოლის 1389 მოსწავლის სწავლა-აღზდის საქმეს გასული წლის 77 პედაგოგის ნაცვლად, 83 პედაგოგი მოემსახურება. სკოლაში სწავლება ორ – დილის და შუადღის ცვლაში ტარდება.

<u>ლამბალოს საჯარო სკოლა</u> (*დირექტორი* დავით როსტომაშვილი). ეს სკოლა მოსწავლეთა რაოდენობით იორმუღანლოს საჯარო სკოლის მომდევნო ადგილს იკავებს. 2018-2019 სასწავლო წლისათვის აქ 1117 მოსწავლეს ითვლიან. მათ განკარგულებაშია თანამედროვე ევროსტანდარტების დონეზე აგებული და აღჭურვილი ახალი სასკოლო შენობა, რომელიც ამ ერთი წლის წინ ჩადგა მათ სამსახურში და თავისი მშენებლობის მასშტაბებით არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის „საუკუნის მშენებლობად“ არის აღიარებული. აქ სწავლობენ ლამბალოელი, თულარელი და კაზლარელი მოსწავლე-ახალგაზრდები, რომელთა სამსახურშია თანამედროვე დონეზე აღჭურვილი 14 საკლასო ოთახი და 44 კაბინეტ-ლაბორატორია, ღია და დახურული სპორტული ბაზები, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა და ა.შ. მათ სწავლა-აღზრდას 75 პედაგოგი ემსახურება (მ.შ. 15 სერტიფიცირებული).

ახალი სასწავლო წლისთვის სკოლას 121 პირველკლასელი ჰყავს, 27 კი მეთორმეტეკლასელი.

დუზაგრამის საჯარო სკოლა (*დირექტ:* კიას აბუზაროვი). სკოლის დირექციასა და პედაგოგ მასწავლებლებს საამაყოდ აქვთ, რომ ათეულობით მათ კურსდამთავრებულს მიღებული აქვს უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი და წარმატებით მოღვაწეობენ საქართველოს მეზობელ ქვეყანებში. 2018-2019 სასწავლო წლისათვის სკოლაში 378 მოსწავლეა, რომლებიც აქ სასწავლებლად სოფელ დუზაგრამის გარდა წიწმატიანიდან, პალდოდან და მუღანლოდან დადიან. 378 მოსწავლიდან წელს სკოლაში 50 პირველკლასლი და 10 მეთორმეტეკლასელი ჰყავთ, რომელთაც 22 პედაგოგი მოემსახურება.

სკოლის შენობის სიძველის მიუხედავად მათი პედაგოგები ახალგაზრდული ენერგიით აგრძელებენ მოღვაწეობას. სკოლას ქართული ენის პედაგოგის ლელა ჭინჭარაძის ხელმძღვანელობით ამ სკოლის პატარა სცენისმოყვარეებმა გასულ წელს გაიმარჯვეს საქართველოს მასშტაბით გამართულ კონკურსში „ჩემი პირველი ქართული როლი“, სადაც დაიკავეს I ადგილი და საკმაოდ კომპეტენტური ჟიურის მოწონება დაიმსახურეს.

<u>მუღანლოს საჯარო სკოლა</u> (*დირექტორი* ნასიბ ალახვერდიევი). ამ საბაზო სტატუსის საგანმანათლებლო დაწესებულებას ახალი სასწავლო წლისთვის 220 მოსწავლე ჰყავს, მ.შ. 30 პირველკლასელი. სკოლაში დასაქმებულია 20 მასწავლებელი. გახსნილია ქართული სექტორი. სკოლას აქვს ღია სპორტული მოედანი. წელს სკოლის დირექტორის მცდელობით შეიყვანეს სასმელი წყალი და მოაწყვეს სველი წერტილები.

გივი დაბახიშვილი

გიორგიწმინდა ნინოწმინდა პატარძეული

დღეს ჩვენს მუნიციპალიტეტში ფართოდაა გაშლილი მუშაობა იმ ინფრასტრუქტურული პროექტების ხორცშესასხმელად, რომლებიც მიმდინარე წელს უნდა განხორციელდეს სოფელში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მართალია მაღალი და დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს ამ სამუშაოების შესრულება, მაგრამ აუცილებელია შესრულებული სამუშაოების ხარისხის და ვადების გადამოწმება.

მუნიციპალიტეტის ***მერის პირველი მოადგილე*** **ალექსი გილაშვილი** და ***მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი*** **ოთარ ფანოზიშვილი** გიორგიწმინდაში, ნინოწმინდასა და პატარძეულში იმყოფებოდნენ. საკრებულოში გიორგიწმინდის მაჟორიტარ დეპუტატთან ივანე ბეჟიაშვილთან და სოფლებში მერის წარმომადგენლებთან (გიორგი ჭიაბერაშვილი, ოთარ ოთარაშვილი, ნინოწმინდაში მერის წარმომადგენლის თანაშემწე ბადრი დემეტრაშვილი) ერთად ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების მიმდინარე სამუშაოები ადგილზე მოინახულეს.

დაისახა დაწყებული პროექტების დროულად დასრულებისთვის აუცილებელი ღონისძიებები.

ინფრასტრუქტურა-2018

დავასუფთაოთ ჩვენი სოფლები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია განაგრძობს ტრადიციად ქცეული დასუფთავების აქციების გამართვას.

13 სექტემბერს მორიგი დასუფთავების აქცია სოფელ უჯარმასთან გაიმართა.

აქციაში ჩართულნი იყვნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***მერის პირველი მოადგილე*** **ალექსი გილაშვილი** და ***მერიის სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლები.***

დასუფთავდა ცენტრალური გზის მიმდებარე ტერიტორია.

მსგავსი აქციები მომავალშიც გაგრძელდება.

მერია მოუწოდებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას: არ დავაბინძუროთ გარემო და სისტემატურად დავიცვათ მისი სისუფთავე.

სასმელი წყალი უდანაკარგოდ მიეწოდებათ

კოჭბაანის თემის სოფლებს: სასადილოსა და ოთარაანთკარს სასმელი წყალი 2 ცალი ერთტონიანი ავზიდან მიეწოდებოდა, რომლებიც დაზიანებული იყო. შესაბამისად, სასმელი წყლის ნაწილი იკარგებოდა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა პრობლემის გადაჭრა ა.ა.ი.პ „საგარეჯოს სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელობას დაავალა.

აღნიშნული ცენტრის მიერ ძველი, დაზიანებული ავზების დემონტაჟი და 2 ახალი,2 ტონის მოცულობის ავზების მონტაჟი შემჭიდროებულ ვადებში განხორციელდა.

ამიერიდან, ხსენებული სოფლები სასმელი წყლის სასურველ რაოდენობას მიიღებენ და წყლის დაკარგვის პროცესიც აღმოიფხვრება.

გაიხსნა „ქალთა ოთახები“

13 სექტემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირება დაიწყო „ქალთა ოთახებმა“. მათი სახით ქალაქ საგარეჯოსა და სოფელ იორმუღანლოში შეიქმნა ღია სივრცეები, რომელიც მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები მოქალაქეების, განსაკუთრებით კი ქალების კომპლექსურ ხელშეწყობას, ასევე - ქალებისა და მამაკაცების თანაბარ მონაწილეობას ადგილობრივ თვითმმართველობაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

„ქალთა ოთახების“ გახსნის ღონისძიებებს სტუმრობდნენ: ***კახეთის რეგიონის გუბერნატორის მოადგილე*** **ზურაბ არსენიშვილი**,***სახალხო დამცველის წარმომადგენელი გენდერის საკითხებში*** **ეთო შიუკაშვილი** და ***გუბერნატორის ადმინისტრაციის თანამშრომელი*** **ვალერი ძამსაშვილი.**

საგარეჯოში „ქალთა ოთახის“ გახსნის ღონისძიებებში მონაწილეობდნენ: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ოთარ ჩალათაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ლელა მარიდაშვილი, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ელენე სამხთუაშვილი, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები ალექსი გილაშვილი და პაატა ასრათაშვილი, მერიაში გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი თამარ ურდულაშვილი, იორმუღანლოს „ქალთა ოთახის“ მენეჯერი მაკა ეპიტაშვილი, საკრებულოს და მერიის თანამშრომლები, ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები.

იორმუღანლოს „ქალთა ოთახის“ გახსნაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს იორმუღანლოს მოსახლეობამ, მათგან ახალგაზრდებმაც...

მათ ისაუბრეს იმ საკითხებზე, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას აინტერესებს. როგორც მათ აღნიშნეს, სოფლის ახალგაზრდობას დიდი სურვილი აქვს სოფელში გაიხსნას ქორეოგრაფიული წრე და ინსტრუმენტზე დაკვრის შესწავლის წრე. რაც შეეხება სოფლის მცხოვრები ქალების მოთხოვნას, მათ ითხოვეს, დაეხმარონ ხელით ნაქსოვი ნივთებისა და ხალიჩების შემდგომი წარმოების გაფართოებისა და მათი ნახელავის რეალიზაციაში.

შეხვედრების დროს ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ საქართველოს ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლება, პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, მაქსიმალურად უწყობს ხელს რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას, მიიღონ მათთვის სასურველი ინფორმაციები, გამოიმუშაონ ახალი უნარ-ჩვევები, განახორციელონ სხვადასხვა სახის აქტივობა, მოამზადონ ეკონომიკური თუ სხვა სახის პროექტები, გაიუმჯობესონ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, სიკეთე მოუტანონ როგორც საკუთარ ოჯახებს, ისე საგარეჯოს მუნიციპალიტეტს.

ხაზი გაესვა „ქალთა ოთახების“ დიდ პოტენციალს გენდერული თანასწორობის მიღწევისა და მოსახლეობისთვის უკეთესი მომავლის შექმნის თვალსაზრისით.

როცა შენი სოფელი გიყვარს

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი იორმუღანლოში **ნათიკ რასულოვი** და დეპუტატი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში **აიაზ**

ბაირამოვი ინიციატივით გამოვიდნენ და სოფლის ახალგაზრდობასთან ერთად სოფლის ცენტრალური გზის ორივე მხარე დაასუფთავეს.

მართლმადიდებლობა

21 სექტემბერს ღვთისმშობლის შობის დღეა!

მართლმადიდებელი სამყარო 21 სექტემბერს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის დღეს აღნიშნავს. ამ დღეს საქართველოს ყველა მოქმედ ტაძარში წირვა-ლოცვა აღევლინა. 12:00 საათზე კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით მრევლმა ღვითისმშობლის ლოცვა წაიკითხა.

"მოწყალებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისმშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინაადმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთაისაი. ამინ!" - ეს ლოცვა უნდა წაეკითხა მრევლს პატრიარქის კურთხევით.

უწმუნდესმა ლოცვა სამების საკათედრო ტაძარში, მრევლთან ერთად, მუხლზე დაჩოქილმა აღავლინა.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში დაიბადა. მამა, მართალი იოაკიმე, დავით მეფის ტომიდან იყო, ხოლო დედა, მართალი ანა - პირველი მღვდელმთავრის აარონის შთამომავალი.

ღვთისმოშიშ ცოლ-ქმარს შვილი ხანდაზმულ ასაკში შეეძინათ. მათ აღთქმა დადეს, თუ ღმერთი შვილს მისცემდათ, ახალშობილს ტაძარში მსახურებისთვის უფალს მიუძღვნიდნენ. უფალმა იოაკიმესა და ანას ლოცვა-ვედრება შეისმინა. მთავარანგელოზმა გაბრიელმა ამცნო ანას, რომ იგი მუცლად-იღებდა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი საკუთარ სახლში სამი წელი იზრდებოდა.

მართალი იოაკიმე და ანა ეკლესიის მიერ "მშობლებად ღმრთისა" იწოდებიან, როგორც უფალ იესო ქრისტეს ხორციელნი წინაპარნი. მათ განსაკუთრებული მადლი აქვთ ღვთისაგან - უშვილოებს შვილი მიანიჭონ, შეწყვიტონ მიწისძვრები და დააცხრონ ქარიშხლები.

ჯვართამაღლება

ღვთის განგებით, მაცხოვრის ჯვარცმიდან სამასი წლის შემდეგ ქრისტიანებმა მანამდე დაკარგული უდიდესი ქრისტიანული სიწმიდე - ცხოველსმყოფელი ჯვარი უფლისა ისევ მოიძიეს და მისი თაყვანისცემის შესაძლებლობა მიეცათ. ეს მოხდა 326 წელს, მოციქულთასწორი იმპერატორის, კონსტანტინე დიდის (306-337) დროს.

რომის წარმართი იმპერატორები ცდილობდნენ, ადამიანთა ცნობიერებიდან აღმოეფხვრათ იმ წმიდა ადგილების ხსოვნა, სადაც ევნო მაცხოვარი და დიდებით აღდგა. იმპერატორმა ადრიანემ (117-138) მიწით დააფარვინა გოლგოთა და ქრისტეს საფლავი, შემდეგ კი ხელოვნურად შექმნილ ბორცვზე წარმართული ქალღმერთის, ვენერას ტაძარი და იუპიტერის კერპი აღამართვინა. კონსტანტინე დიდმა სასწაულებრივად ირწმუნა ქრისტე მას შემდეგ, რაც იმპერიისთვის გადამწყვეტი ბრძოლის წინ ცაზე იხილა ჯვრის ნიში წარწერით: „ამით სძლო!". უფლის რჩეულმა ჯვრის ძალით მართლაც გამანადგურებელი დამარცხება აგემა წინააღმდგომებს, რის შემდეგაც არ ასვენებდა სურვილი იმ ძელის მოძიებისა, „რომელთა ზედა მაცხოვარმა ელნი განიპყრნა". მან მოოხრებულ იერუსალიმში გაგზავნა დედამისი - კეთილმსახური დედოფალი ელენე, რომელსაც პატრიარქ მაკარისთან წერილიც გაატანა თხოვნით, ხელი შეეწყო წმიდა საქმისთვის. ნეტარი ელენე უკვე საკმაოდ მოხუცებული იყო, მაგრამ, ღვთის სიყვარულით აღძრული, ფრიად დაშვრა დიდი სიწმიდის ძიებაში. იგი დიდხანს ამაოდ ცდილობდა, იერუსალიმის მკვიდრთაგან შეეტყო ჯვრის ადგილსამყოფელი. ბოლოს უფალმა მხცოვანი იუდეველის, იუდას მეშვეობით გააცხადა დაფარული. იპოვეს მაცხოვრის საფლავი, მის მახლობლად კი - სამი ჯვარი, დაფა პილატეს დავალებით გაკეთებული სამენოვანი წარწერით და ოთხი ლურსმანი, რომლითაც ძელზე მიამსჭვალეს ქრისტე. რომ გაეგოთ, რომელი იყო ცხოველსმყოფელი ძელი უფლისა სამივე ჯვარი რიგრიგობით შეახეს მიცვალებულს. მესიის ჯვრის შეხებაზე მკვდარი გაცოცხლდა. ურიცხვი ქრისტიანი შეიკრიბა სიწმიდის თაყვანსაცემად. ისინი პატრიარქ მაკარის სთხოვდნენ, აღემართა ჯვარი, რომ ყველას შეძლებოდა მისი დანახვა. მაშინ მღვდელმთავარმა სხვა სასულიერო პირებთან ერთად სიწმიდის ამაღლება დაიწყო, ხალხი კი ხადილით: „უფალო, შეგვიწყალენ", კრძალვით თაყვანს სცემდა მას. წმიდა ჯვრის აღმოჩენას კიდევ ერთი სასწაული ახლდა თან: მისი გადასახვით მძიმე ავადმყოფი ქალი განიკურნა. მოხუცმა იუდამ და სხვა ებრაელებმა ირწმუნეს ქრისტე და მოინათლნენ. ნათლისღებისას იუდას კვირიაკე დაარქვეს. შემდგომში იგი იერუსალიმის ეპისკოპოსი გახდა, იულიანე განდგომილის (361-363) ზეობისას კი მოწამეობრივად დაასრულა სიცოცხლე (ხს. 28 ოქტომბერს). წმიდა ელენე დედოფალმა მაცხოვრის ამქვეყნიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ადგილები ტაძრებით შეამკო: ოთხმოცზე მეტი ეკლესია აშენდა. კონსტანტინე დიდის ბრძანებით დაიწყო ქრისტეს აღდგომის ტაძრის მშენებლობა, რომელსაც გოლგოთა და უფლის საფლავი უნდა მოეცვა. ტაძარი დაახლოებით ათ წელს შენდებოდა და იკურთხა 335 წლის 13 სექტემბერს. მომდევნო დღეს, 14 სექტემბერს დაწესდა პატიოსანი და ცხოველსმყოფელი ჯვრის ამაღლების დღესასწაული.

ამ დღეს იხსენიება მესიის ჯვართან დაკავშირებული კიდევ ერთი მოვლენა - 14-წლიანი ტყვეობის შემდეგ მისი დაბრუნება სპარსეთიდან იერუსალიმში. იმპერატორ ფოკას (602-610) ზეობისას სპარსეთის მეფემ, ხოსრო II-მ დაამარცხა ბიზანტიელთა მხედრობა, დაარბია იერუსალიმი, გაიტანა უფლის ცხოველსმყოფელი ჯვარი და წმიდა პატრიარქი ზაქარიაც (609-633) ტყვედ ჩაიგდო. სიწმიდე 14 წელი იმყოფებოდა სპარსეთში და მხოლოდ მას შემდეგ გადმოეცათ ქრისტიანებს, რაც იმპერატორმა ჰერეკლემ (610-641), ღვთის შეწევნით, დაამარცხა ხოსრო და საზავო ხელშეკრულება დადო მის ძესთან - სიროესთან. ცხოველსმყოფელი ძელი დიდი ზეიმით შემოაბრძანეს იერუსალიმში. იმპერატორი ჰერაკლე სამეფო გვირგვინითა და პორფირით შემკული მიასვენებდა სიწმიდეს აღდგომის ტაძრისკენ. მას გვერდით პატრიარქი ზაქარია მიჰყვებოდა. ბჭეებთან, რომელიც უნდა გაევლოთ გოლგოთაზე ამსვლელებს, მეფე უეცრად შედგა და გზის განგრძობას ვერ ახერხებდა. წმიდა ზაქარიამ აუხსნა: ეს - უფლის ანგელოზი გეღობება წინ, რადგან მას, ვინც კაცობრიობის გამოსასყიდად აზიდა ჯვარი გოლგოთაზე, ეს გზა სიმდაბლით გაიარაო. მაშინ ჰერაკლემ მოისხნა გვირგვინი, სამეფო მანტიაც განიმოსა და უბრალო ტანსაცმლით დაუბრკოლებლად შეაბრძანა სიწმიდე ტაძარში.

სიტყვაში ჯვართამაღლების დღესასწაულზე ანდრია კრიტელი წერს: „ჯუარი ამაღლდების და სავსება ეკლესიისა შემოკრბების. ჯუარი ამაღლდების და ქალაქნი დღესასწაულობენ და ერნი მხიარულებად მოისწრაფიან, რამეთუ მო სენება ცა ჯუარისა მიზეზ იქმნებიდა სიხარულისა და მორიდება - მჭმუნვარებისა".

„წმიდანთა ცხოვრება", ტ. III, თბილისი, 2001 წ

სოხუმის დაცემიდან 25 წელი გასულა

ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის (1992-93) ბოლო, გადამწყვეტი ბრძოლა, რომელსაც შედეგად ქართველთა ერთ-ერთი უდიდესი დამარცხება მოჰყვა საქართველოს უახლეს ისტორიაში. კონფლიქტი, რომელიც 13 თვესა და 13 დღეს გრძელდებოდა მიმდინარეობდა ქართულ სამთავრობო ჯარებსა და აფხაზ სეპარატისტთა ძალებს შორის, რომელთაც ასევე უჭერდნენ მხარს ჩრდილოეთ კავკასიიდან დაქირავებული მებრძოლები, კაზაკთა მილიციის შენაერთები და არაოფიციალურად, გუდაუთაში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზის შენაერთი.

სოხუმისთვის გადამწყვეტ ბრძოლას წინ უძღოდა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და სამხედრო ტექნიკის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შესახებ, რომელიც სოჭში დაიდო 27 ივლისს ორ მხარეს შორის. შეთანხმება 16 სექტემბრამდე გაგრძელდა. ამ დღეს სეპარატისტებმა შეთანხმება დაარღვიეს და ფართომასშტაბიანი იერიში მიიტანეს სოხუმზე ზღვიდან, ჰაერიდან და ხმელეთის მისადგომებიდან. შეთანხმების მიხედვით, საქართველოს ამ დროისთვის მძიმე შეიარაღების დიდი ნაწილი კონფლიქტის ზონიდან უკვე გაყვანილი ჰყავდა. გააფრთებული ბრძოლები გრძელდებოდა 27 სექტემბრამდე, თუმცა მასიურ შეტევას სუსტი შეიარაღებით ქართულმა ნაწილებმა ვერ გაუძლეს და ქალაქი საბოლოოდ დაეცა.

ქალაქის აღების შემდეგ შემოსულმა სეპარატისტთა მებრძოლებმა დარჩენილი მოსახლეობის არნახული ხოცვა მოაწყვეს. ადგილობრივი მთავრობის წევრები, ჟიული შარტავა, გურამ გაბისკირია და რაულ ეშბა, რომლებმაც გაქცევაზე უარი თქვეს, მთავრობის სახლის წინ დახვრიტეს, ხოლო ალექსანდრე ბერულავა უგზოუკვლოდ დაიკარგა. რამდენიმე დღეში სეპარატისტთა ძალებმა აფხაზეთის თითქმის მთელი ტერიტორია დაიკავეს (კოდორის ხეობის გარდა).

საქართველოს შეიარაღებული ძალების სრულ დამარცხებას რეგიონში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა მოჰყვა. გადარჩენილი 250 000-ზე მეტი ეთნიკურად ქართველი, ბერძენი თუ სხვა უმცირესობები აფხაზეთიდან ლტოლვილ-დევნილი გახდა.

თქვენთვის, სამუშაოს მაძიებლებო!

პორტალი, რომელზედაც უნდა დარეგისტრირდეთ

რამდენიმე წელია სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაზე შეიქმნა და ფუნქციონირებს დასაქმების ხელშეწყობის ახალი სახელმწიფო სამსახური – დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი. მის მთავარ ფუნქციას შეადგენს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება. კერძოდ, სამუშაოს მაძიებელთა და თავისუფალი (ვაკანტური) სამუშაო ადგილების რეგისტრაცია-აღრიცხვის ელექტრონული სისტემების შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა და განვითარება, საქართველოს შრომის ბაზარზე საშუამავლო მომსახურების ეფექტურად გაწევის მიზნით დამსაქმებელთან თანამშრომლობის განვითარება, სამუშაოს მაძიებლებთან საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, მათი პროფესიული მომზადება-გადამზადების ღონისძიებების განხორციელება და სხვა.

სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტს რაიონულ ცენტრებში და მათ შორის ჩვენს რაიონშიც ჰყავს დასაქმების კონსულტანტები, რომლებიც კონკრეტულ დახმარებას უწევენ ადგილებზე უმუშევარ ადამიანებს დასაქმებაში. კერძოდ, თუ რას შეეხება აღნიშნული პროგრამა, ამის შესახებ გვესაუბრება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს რაიონული განყოფილების უფროსი თამარ ბერიძე.

– დასაქმების მომსახურების ახალი მოდელი, რომელიც ქვეყანაში მუშაობს 2017 წლის ნოემბრიდან, – გვითხრა მან, – ფოკუსირებულია საშუამავლო და საბოლოო დასაქმების მომსახურებაზე, რათა დაეხმაროს უმუშევარ ადამიანებს დასაქმებაში. აღნიშნული გულისხმობს უმუშევარი ადამიანების შესახებ მონაცემთა ინფორმაციის ფლობას, რათა შეგვეძლოს მათი მიხედვით იმ ადეკვატური კანდიდატების იდენტიფიცირება და შერჩევა, რომლებიც აკმაყოფილებენ დამსაქმებლისა და კონკრეტული ვაკანსიის მოთხოვნებს.

ამისთვის სახელმწიფოს გადაწყვეტილებითა და ხელშეწყობით ელექტრონულ სივრცეში შექმნილია Worknet-ის პორტალი, რომელზედაც აუცილებლად უნდა დარეგისტრირდნენ სამუშაოს მაძიებლები. ამ პორტალის მეშვეობით შესაძლებელია მოვიძიოთ რა ვაკანსიებია ქვეყანაში, დამსაქმებელს გავაგებინოთ ჩვენი შესაძლებლობები და სურვილები და ა.შ. აქვე შექმნილია გვერდი worknet gov.ge – დამსაქმებლებისათვის, რომლის მომსახურება უფასოა ყველა მომხმარებლისათვის, არ არის შეზღუდული დროით და მოიცავს საქართველოს ყველა დასახლებულ პუნქტს.

– უფრო კონკრეტულად, რა დახმარებას უწევენ რაიონულ ცენტრებში მომუშავე დასაქმების კონსულტანტები უმუშევარ და დასაქმების მაძიებელ ადამიანებს?

– ესაა worknet-ზე რეგისტრაციის პროცესის ხელშეწყობა, worknet-იასა და ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; დეპარტამენტის მომსახურების და შრომის ბაზრის აქტიური ზომების შესახებ ინფორმირება, საშუამავლო მომსახურება და იმ უმუშევარი მაძიებლების გადამისამართება დამსაქმებელთან, რომლებიც აკმაყოფილებენ მოცემული ვაკანსიის მოთხოვნებს, დასაქმების კონსულტირება, უმუშევარი ადამიანების შრომის ბაზრის აქტიურ ზონებში ჩასართავად გადამისამართება.

სააგენტოს (დეპარტამენტის) მომსახურების გაწევისას, პრიორიტეტი ენიჭებათ უმუშევარ ადამიანებს. უმუშევარი ადამიანისთვის გაწეული დახმარების ტიპი და მოცულობა დამოკიდებულია ამა თუ იმ ადამიანის დასაქმების შესაძლებლობების დონესა და ინტეფერენციულ საჭიროებაზე. ასევე, სააგენტოს ხელმისაწვდომ რესურსზე.

სოციალური მომსახურების სააგენტო (დეპარტამენტი) დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ყველა დონეზე თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, ცდილობს მოიძიოს ბევრი ვაკანსია, ახალ-ახალი დამსაქმებლები და თავის მხრივ ეხმარება მათ საჭირო ადამიანური რესურსის მუშახელის მოძიებაში. ანუ, იგი ახორციელებს ე.წ. საშუამავლო საქმიანობას უმუშევრებსა და დამსაქმებლებს შორის. ამიტომ, საშუამავლო მომსახურება მიეკუთვნება დასაქმების ძირითად და მთავარ მომსახურეობებს. შესაბამისად, აღნიშნული მომსახურების მიწოდება ხდება ყველა რეგიონულ და რაიონულ ცენტრში, დასაქმების კონსულტანტთა მიერ. ინდივიდუალური საშუამავლო მომსახურება მიეწოდებათ სამუშაოს იმ მაძიებლებს, რომელთაც გააჩნიათ შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ცოდნა, პროფესია, უნარები და დარეგისტრირებული აქვთ პროფილები worknet-ში, გახსნილი აქვთ პირადი საქმეები დასაქმების კონსულტანტებთან. აქვე დავძენ, რომ შესაფერისი სამსახურის შეთავაზება სრულად უნდა ემთხვეოდეს სამუშაოს მაძიებლის ჯანმრთელობის მდგომარეობას, მის კვალიფიკაციას და პროფესიულ უნარებს, ან წინა დასაქმების ხელშეკრულების პერიოდებში უკვე მიღწეულ პროფესიულ გამოცდილებას და მის ინტერესს.

– როგორ ხდება სამუშაოს მაძიებლის დამსაქმებელთან კონტაქტის დამყარება?

– ეს ხდება ჩვეულებრივი წესით; დასაქმების კონსულტანტი სათანადო საგზურის მეშვეობით რეკომენდაციას აძლევს სამუშაოს მაძიებელს შესაფერისი სამსახურის შეთავაზების მქონე დამსაქმებლებთან გასაუბრებაზე გასვლის შესახებ, სადაც დამსაქმებელი მხარე პირადად წყვეტს სამუშაოზე უმუშევარი ადამიანის დასაქმების საკითხს.

– ამა წლის 6 სექტემბერს ასეთი მორიგი გასაუბრება მგონი თქვენს ოფისშიც გაიმართა...

– დიახ. ამ დღეს ჩვენ ტრადიცია „დავარღვიეთ". ადრე თუ უმუშევარ ადამიანებს ვაგზავნიდით დამსაქმებლებთან, ახლა დამსაქმებელი – საქართველოს ფოსტის წარმომადგენლები, რომელთაც ყველაზე მეტი ვაკანსიები აქვთ ქვეყანაში, თვითონ გვესტუმრნენ უმუშევრებთან გასაუბრებაზე. გასაუბრებაში 15-მდე ჩვენი თანამემამულე იღებდა მონაწილეობას და სულ მალე გადაწყდება მათგან ვის აიყვანს სამსახურში საქართველოს ფოსტა. ერთი სიტყვით რომ ვთქვა, დასაქმების მაძიებლებთან ჩემი რჩევა იქნება, – თვალი ადევნონ worknet-ის პორტალს, ხშირი კონტაქტი იქონიონ ჩვენთან და დროულად შეიტყონ არსებული ვაკანსიების შესახებ, რაც მისცემთ შანსს სცადონ ბედი სამუშაოს მოპოვებაში.

გ. დაბახიშვილი

სპორტი

ჭადრაკი

გარეჯელი ჩემპიონი

საქართველოში ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით დევიზით „Cync- სპორტი ბარიერების გარეშე“ ჩატარდა რესპუბლიკური შეჯიბრი ჭადრაკში, რომელშიც წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებიც. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამ ტურნირის რეგიონულ ეტაპზე თელავში გამარჯვება მოიპოვა ნიკა კევლიშვილმა, ხოლო გოგონათა შორის მეორე ადგილზე გავიდა ეთერ ხებრელაშვილი (ორივეს მწვრთნელია მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე) და ორივე მათგანმა მოიპოვა ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის საგზური.

ამის შემდეგ ანაკლიაში გაიმართა რესპუბლიკური ფინალური ეტაპი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქვეყნის ყველა რეგიონში გამარჯვებული უძლიერესი ნორჩი მოჭადრაკეები. შეჯიბრი მიმდინარეობდა ე.წ. რაპიდში (15 წუთიანი პარტიები), ოლიმპიური სისტემით, სადაც ასევე შესანიშნავად იასპარეზა ნიკა კევლიშვილმა ,რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა და ფინალში შეხვდა იმერეთის წარმომადგენელს, ტყიბულელ დავით ცქიფურიშვილს, დაამარცხა და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ნიკა დაჯილდოვდა თასით, I ხარისხის მედლითა და სიგელით, აგრეთვე ფასიანი საჩუქრით – ძვირფასი მაჯის საათით.

ემზადებან მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადისათვის

საქართველოში, 23 სექტემბრიდან 6 ოქტომბრამდე ტარდება მსოფლიო საჭადრაკო 43-ე ოლიმპიადა. ოლიმპიადის პროგრამის ფარგლებში ჭადრაკის პოპულარიზაციის მიზნით ტარდება ნორჩ მოჭადრაკეთა – 10-12-14-16 წლის ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა რეგიონული გუნდური ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში საქართველოს 12 რეგიონის ნაკრებ გუნდებს შორის.

კახეთის რეგიონის ნაკრების შემადგენლობაშია აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ 3 აღსაზრდელი – ნიკა კევლიშვილი (14 წლიან ჭაბუკებში), ზუკა გამრეკელაშვილი (12 წლიან ჭაბუკებში) (ორივეს მწვრთნელია ირაკლი ქვლივიძე) და 10 წლის ნინო ესაიაშვილი (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი) (12 წლიან გოგონათა შორის).

16 სექტემბერს გურჯაანში ნანა იოსელიანისა და გია გიორგაძის სახელობის საჭადრაკო კლუბში გაიმართა კახეთის ნაკრების ერთობლივი საწვრთნელი შეჯიბრი ყველა მონაწილეთა შორის. როგორც მოსალოდნელი იყო 14 შესაძლებლობიდან 14 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ნიკა კევლიშვილმა, მეორე ადგილი 11.5 ქულით დაიკავა 11 წლის ზუკა გამრეკელაშვილმა, ხოლო III ადგილი წილად ხვდა 16 წლის თელაველ გიორგი დემურხანაშვილს.

გვჯერა, ჩვენი მოჭადრაკეები და მთლიანად კახეთის ნაკრები ბათუმში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზეც გვასახელებენ.

ზ. აგულაშვილი

გოჯურიუ კარატე

ვერცხლი — ევროპის პირველობიდან

18-23 სექტემბერს პორტუგალიის ქალაქ პორტოში ჩატარდა ევროპის პირველობა გოჯურიუ კარატეში, რომელშიც მონაწილეობდა მსოფლიოს სამგზის, ევროპის ამდენივე და საქართველოს თორმეტგზის ჩემპიონი, ჩვენი თანაქალაქელი დავით (უმცროსი) ლაფაჩიშვილი. ეს ტიტულები ჩვენს უკვე 16 წლის კარატისტს ჭაბუკებში აქვს მიღებული. პორტუგალიაში ევროპის პირველობაზე კი ახალგაზრდებს შორის – თავისზე ორი წლით უფროსებში მიიღო მონაწილეობა. გოჯურიუ კარატეში ყველაზე დაბალი წონა 63 კილოგრამია, დავითი კი 55 კილოგრამს იწონის, ასე, რომ გარდა ასაკისა, იგი წონის პრობლემის წინაშეც დადგა. მიუხედავად ამისა, რინგზე გამოცდილმა მოჩხუბარმა აღმავლობით ჩაატარა შეხვედრები და ნახევარფინალამდე მიაღწია, სადაც დაამარცხა მასპინძელი პორტუგალიის ნაკრების წევრი.ფინალში მისი მეტოქე ისევ პორტუგალიელი სპორტსმენი აღმოჩნდა და...



– მასპინძლებმა „სიურპრიზი“ მოუწყეს – ის-ის იყო დამთავდა მისი ნახევარფინალური ბრძოლა და პირდაპირ საფინალო ბრძოლაზე გამოიძახეს, ისე, რომ სულის მოთქმის საშუალება არ მისცეს, – გვეუბნება დავითის პაპა – დავით (უფროსი) ლაფაჩიშვილი. – რაღა თქმა უნდა, დაღლილს და წონის პრობლემის მქონეს გაუჭირდა დასვენებული მეტოქის წინააღმდეგ ბრძოლა და შეხვედრა დათმო. თუმცა, ასეთი დონის ასპარეზობაში მოპოვებული ვერცხლის მედალიც საპატიო ჯილდოა და მეამაყება, რომ საქართველოს გოჯურიუ კარატეს ეროვნული ნაკრების მიერ მოპოვებული სამი ოქროს, ამდენივე ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებიდან ერთი ჩემს შვილიშვილზეც მოდის.

გივი დაბახიშვილი

ფეხბურთი

„გარეჯი-1960“-ის მთავარ მწვრთნელს უმაღლეს ლიგაში გადასვლის დიდი იმედები აქვს

ბოლო დროს გარეჯული ფეხბურთის ისტორიაში ორი დიდი ღირშესანიშნავი მოვლენა განხორციელდა. პირველი ის, რომ დაფუძნდა ფეხბურთის კლუბი „გარეჯი-1960“ და მეორე – გასული საუკუნის 60-იან წლებში აგებული ფეხბურთის სტადიონის რეაბილიტაცია, რომლებიც, რა თქმა უნდა, თავის კეთილისმყოფელ გავლენას იქონიებს ჩვენს მუნიციპალიტეტში ფეხბურთის შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში. ამის ნიშნები კი უკვე აშკარად შეინიშნება და სახეზეა. მხედველობაში მაქვს ის წარმატება, რასაც საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ჩემპიონატის მეორე ლიგის გათამაშებაში მონაწილე „გარეჯი-1960“-ის ფეხბურთელებმა მიაღწიეს. მათ ჯერ კიდევ ჩემპიონატის დასრულებამდე გაინაღდეს „ფლეი-ოფში“ თამაშისა და ამით უმაღლეს ლიგაში გადასვლის შესაძლებლობა. იმის გასარკვევად, თუ როგორ იყენებენ ამ შანსს საგარეჯოს სახელით ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელები, საგარეჯოს ახლადრეაბილიტირებულ სტადიონზე ვარჯიშის დაწყების წინ ამ დღეებში ვეწვიეთ და ვესაუბრეთ გუნდის მთავარ მწვრთნელს დავით ძოძიაშვილს.

– მეორე ლიგიდან უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად, – გვითხრა მან, **„ფლეი-ოფში“** სულ 8 გუნდი იბრძვის, ოთხი ცენტრალური, ოთხი კი აღმოსავლეთის ზონიდან, რომელთა შორის ჩვენც ვიმყოფებით. რა თქმა უნდა, უმაღლეს ლიგაში გადასვლა ყველა გუნდისა და ფეხბურთელის ოცნებაა და ჩვენც მონდომებით ვემზადებით ამ საპატიო მიზნის მისაღწევად. სწორედ ამ მიზნით ყოველდღიურ მომზადებას გავდივართ საგარეჯოს სტადიონზე და ვფიქრობთ, წარმატებას მივაღწევთ.

– როგორც ცნობილია „ფლეი-ოფის“ გათამაშება უკვე დაწყებულია და თქვენ უკვე მოგიწიათ რამდენიმე მატჩის გამართვა. როგორია მათი შედეგები?

– სულ გათვალისწინებულია 14 ტურის გამართვა, საიდანაც ჩვენ უკვე ჩავატარეთ სამი მატჩი და ერთი მოგება, 1 წაგება და 1 ფრე გვაქვს და ამ შედეგებით ამჟამად მეოთხე ადგილზე ვიმყოფებით.

– როგორც ვიცი, თქვენ თამაში დათმეთ საკუთარ მოედანზე, მერე დაამარცხეთ „რუსთავი“ და ბოლოს ფრედ ითამაშეთ...

– კი, ასეა, ცუდი ამინდისა და სხვა მიზეზებით ჩვენ საკუთარ მოედანზე მარცხი განვიცადეთ თბილისის „კოლხეთთან“, მერე 4:0 დავამარცხეთ „რუსთავი“, თბილისის „სიტისთან“ კი ჩვენი შეხვედრა 0:0 დასრულდა.

– ისე, რომ წინ კიდევ 11 მატჩია...

– უმაღლეს ლიგაში გათამაშებიდან მოხვედრა იოლი არაა, მაგრამ ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რომ ავისრულოთ ეს ოცნება. სამაგიეროდ, ჩვენ საკმაო შანსები და რესურსები გაგვაჩნია და ვფიქრობ, ასეც მოხდება. საამისოდ ამ ცოტა ხნის წინ „ნორჩი დინამოდან“ სამი ახალი ფეხბურთელი – მელქაძე, ბობღიაშვილი და ძამისაშვილი დავიმატეთ, გავდივართ ინტენსიურ წვრთნებსა და მომზადებას. უმაღლეს ლიგაში საპრიზო სამეულის გუნდები გადადის. I-II ადგილებზე გასული გუნდები პირდაპირ გადადიან, მესამე კი ფლეი-ოფში“ ითამაშებს, მაგრამ ჩვენ ვგეგმავთ უამისოდ განვახორციელოთ ეს.

ანუ I-II ადგილზე გასვლას ვგეგმავთ.

– რას გვეტყოდით გუნდი საგარეჯოელ მოთამაშეებზე?

– ჯერ-ჯერობით გუნდის ძირითად შემადგენლობაში ორი საგარეჯოელი ფეხბურთელი თამაშობს, დანარჩენები კი ახალგაზრდები არიან.

– ვინ არის სადღეისო გუნდის გამორჩეული სახე?

– ამ სეზონზე ჩვენს საუკეთესო თავდამსხმელად უნდა დავასახელოთ ქალდანი, რომლის ანგარიშზე ბოლო ხუთი ტურიდან 10 გატანილი გოლი ირიცხება და იმედია მომავალშიც თავის სიტყვას იტყვის გუნდის საერთო მიზნის განხორციელების საქმეში.

– გისურვებთ წარმატებებს!

გივი დაბახიშვილი

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლებს: **ვანო გზირიშვილს, ნატო ზალიკანიანს, ნათია სულიკაშვილს**. ვუსურვებთ სიხარულს, ბედნიერებას და წარმატებებს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

მადლობა

მადლობას ვუხდით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს ***სოფელ დიდ ჩაილურში*** **ნიკა მემარნიშვილს** იმ თანადგომისა და აქტიური დახმარებისათვის, რასაც ის ჩვენი დაწესებულების მიმართ იჩენს. ნიკა სისტემატიურადაა ჩვენს გვერდით, დიდი გულისხმიერებით ეკიდება ჩვენს თითოეულ პრობლემას და ამ პრობლემის მოგვარებაში მყისიერად და უშურველად გვეხმარება.

დიდი მადლობა მას ამისათვის.

ვუსურვებთ სიკეთეს და წარმატებებს სოფლის სასიკეთოდ საკეთებელ ყოველდღიურ საქმიანობაში.

სოფელ დიდი ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მენეჯერი ***თინათინ შიოშვილი; დაწესებულების თანამშრომლები***

სტუმარ-მასპინძლობა

საგარეჯომ 20 ქვეყნის წარმატებულ ბავშვებს უმასპინძლა

19 სექტემბერს, ქალაქ საგარეჯოს ცნობილ საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში („მის პლანეტა“, „მის და მისტერ გალაქსი“) სხვადასხვა წლებში გამარჯვებული, მსოფლიოს 20-მდე ქვეყნიდან ჩამოსული ბავშვები და მოზარდები თანმხლებ დელეგაციებთან ერთად ესტუმრნენ.

ღონისძიებას, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა, ორგანიზებას უწევდა არაერთი პრესტიჟული საერთაშორისო სამოდელო ორგანიზაციის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში, საერთაშორისო სილამაზის კონკურსებისა და ფესტივალების ნაციონალური დირექტორი და ორგანიზატორი, შპს „მის პლანეტა-საქართველოს“ ხელმძღვანელი ეკატერინე მგალობლიშვილი.

სტუმრებს საზეიმო მიღება გაუმართეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა, მერის მოადგილეებმა ალექსი გილაშვილმა და პაატა ასრათაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ოთარ ჩალათაშვილმა, საკრებულოს დეპუტატებმა, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებმა. გიორგი ერბოწონაშვილმა სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა და მათგანაც მიიღო სამახსოვრო საჩუქრები.

ბავშვებმა და მოზარდებმა, ქართველ თანატოლებთან ერთად, თავიანთი ეროვნული სამოსით მსვლელობა მოაწყვეს ქალაქ საგარეჯოს ქუჩებში. ისინი საგარეჯოს კულტურის სახლის სცენიდან მიესალმნენ დამსწრე საზოგადოებას, რომელთაც ცეკვისა და სიმღერის ადგილობრივმა ანსამბლებმა მუსიკალური ნომრები შესთავაზეს.

კონცერტის შემდეგ, გამწვანების აქცია გაიმართა.

„- საგარეჯოში გამართული ღონისძიება წარმოადგენს იმ მრავალფეროვანი პროგრამის ნაწილს, რომელსაც ვახორციელებთ კახეთის რეგიონში 16-დან 22 სექტემბრის ჩათვლით. ჩვენი მიზანია, სხვადასხვა ეროვნების წარმატებული ბავშვები და მოზარდები დავამეგობროთ ქართველ თანატოლებთან, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს კი გავაცნოთ საქართველო, ჩვენი კულტურა და ღირსშესანიშნაობები. ამას გარდა მიზნად ვისახავთ, ჩვენს თანამემამულეებს მივცეთ მათი ეროვნული ფასეულობების გაცნობის საშუალება. ვფიქრობთ, ასეთი აქტივობები ხელს შეუწყობს ერთა შორის ჯანსაღი კომუნიკაციის განვითარებას და საქართველოს, მათ შორის კახეთის რეგიონისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას საერთაშორისო ასპარეზზე. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ გიორგი ერბოწონაშვილს, ასევე მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელობას ძალზე გულთბილი დახვედრისა და აქტიური მხარდაჭერისთვის. მისასალმებელია, რომ საგარეჯოს თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები ასე ზრუნავენ მომავალი თაობის ხელშეწყობისა და მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის,“- განაცხადა ეკატერინე მგალობლიშვილმა.

ლეგენდა, რომელსაც ქართველები ღვინოზე ჰყვებიან

საქართველო ლეგენდების ქვეყანაა. ერთ-ერთი ყველაზე ძველი და საინტერესო ქართული ლეგენდის მიხედვით, ღვინის შექმნას ქართველები მამა ღმერთს უკავშირებენ: ღმერთი დედამიწაზე დაეძებდა ისეთ ადგილს, სადაც ვაზი უნდა გაეშენებინა. მრავალი ადგილი შეარჩია, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი ისეთ ადგილზე გააკეთა, სადაც დამარხული იყო ბულბულის, ლომისა და ღორის ძვლები, ასეთი ადგილი საქართველო აღმოჩნდა.

როდესაც ღმერთმა ამ მიწაზე ვაზი დარგო, შემდეგ მოსავალი მოიწია, დაწურა და ღვინო გააკეთა. ღვინოს იმ სამი სულდგმულის თვისებები გამოჰყვა, რომელთა ძვლებზეც ვაზმა იხარა - როდესაც ადამიანი ცოტა ღვინოს სვამს, მისი საუბარი ხშირად ბულბულის გალობასავით მოსასმენია, როდესაც ზომაზე ცოტა მეტს სვამს, ლომს ემსგავსება და ყოველგვარი წინააღმდეგობის დაძლევის ილუზია ექმნება, უკიდურესად გადათრობის შემთხვევაში კი ადამიანი ემსგავსება ღორს, თუ რატომ, ამის მიხვედრა ძნელი არ უნდა იყოს.

ცნობილი ქართველი მწერალი, აკა მორჩილაძე, თავის წიგნში, “ვენერას სიზმარი” წერს: “მე ასე მჯერა, რომ ღვინო რომ არ იყოს, საქართველო არ იქნებოდა, თუ კი საქართველო რამეს უჭირავს, ერთ-ერთი ამათთაგანი არის ღვინო. იცინი - სვამ, ტირი - სვამ, სვამ დილიდან და ნაშუადამევს, ღვინო აერთიანებს და აცალკავებს, ღვინო მალავს დარდებს და აღვიძებს მსახიობობის სურვილს ღვინო შვებას გვრის ამტან კაცს და ეხმარება მას მოქნილ აზრთა დალაგებაში. საქართველოში ყველაზე დიდი საოცრება არის ქვევრდან ამოვარდნილი სურნელი. ამაზე კარგი, ამაზე ნამდვილი, ამაზე ბებერი და უბერებელი ჩვენს ქვეყანაში არაფერია. ღვინო უკვადავია და მასზე ვერავინ ამბობს უარს, ღვინო კალიფორნიაშიც ბლომად იწურება, მაგრამ, იქ იმას არ ნიშნავს, რასაც აქ ჩვენთან საქართველოში, ღვინო მარადიულია და მასში მთელი ქვეყნის პოვნა შეიძლება.“

საუკუნეების მანძილზე ქართველი კაცი ვენახს სულიერად თვლიდა, თუ ქართველი კაცის ოჯახს თავს რაიმე უბედურება დაატყდებოდა იტყოდა, სულიერიდან მხოლოდ ვენახი დაგვეღუპაო. ეს შეხედულება დღემდე არსებობს.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

გამოსათხოვარი

მერი გოდერძიშვილი

ისევ შეიყარა შავი ღრუბლები...

კვლავ შემოჰკრა გლოვის ზარმა...

კიდევ ერთი გაუბზარავი, ჩრდილდაუკრავი სიცოცხლე წავიდა ამ ქვეყნიდან.

უკანასკნელ გზაზე უდიდესი გულისტკივილით გავაცილეთ რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, თბილისის საპატიო მასწავლებელი, მრავალი ჯილდოსა და ორდენის კავალერი, ყველასათვის უსაყვარლესი ადამიანი, ქ-ნი მერი გოდერძიშვილი.

წავიდა ჩვენგან უმაღლესი ადამიანური ღირსებების მქონე, მაღალი რანგის პროფესიონალი, რომელმაც აღზარდა ქიმიკოსების მთელი არმია. იგი ხომ თავის დიდებულ მეუღლე მიხეილ მანდარიასთან ერთად ათეული წლების განმავლობაში უდიდესი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით ემსახურებოდა მოსწავლეახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის ურთულეს საქმეს.

ძნელია წარსულში ლაპარაკი ისეთ უბრწყინვალეს, მადლით, სიკეთითა და სიყვარულით სავსე ადამიანზე, როგორიც მერი მასწავლებელი იყო. საკუთარი შვილები არ ჰყოლია, მაგრამ მის ოჯახში იზრდებოდნენ ბ-ნი მიშას ძმისშვილები – გიზო და ნუგზარ მანდარიები, საკუთარი ძმისშვილები – თემური, მარინა და დათო გოდერძიშვილები, შემდგომში მათი შვილები... (ისინი დღეს ყველანი ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრები არიან). ასე, რომ ოჯახში უშვილობა არ იგრძნობოდა. და რაც ყველაზე მთავარია, იგი თავის დაუხარჯავ თუ გაუხარჯავ დედობრივ სითბოსა და ენერგიას უშურველად უნაწილებდა თავის მოსწავლეებს, ყველას, განსაკუთრებით კი ობლებსა და გაჭირვებულებს, ამიტომაც არის იგი გამორჩეულად ძვირფასი თავისი ნამოწაფრებისათვის და თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას: „მასწავლებელი, ბევრჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი“ – ერთ-ერთი უპირველესი სწორედ ქ-ნი მერი გოდერძიშვილია.

ერთი დიდებული ადამიანის ცხოვრების გზაც დასრულდა. თავის საქმეზე და ადამიანებზე შეყვარებული მასწავლებლის ცხოვრების გზა. დიდებული ადამიანები უძეგლოდ არიკარგებიან. თქვენი ძეგლი კი ის ჩაუმქრალი სიყვარული და პატივისცემაა, გულში რომ ჩაუტოვეთ ყველას, ვინც თქვენ გიცნობდათ, უძვირფასესო მერი მასწავლებელო!

ნათელში იყავით! უფალმა დაგიმკვიდროთ სასუფეველი.

საგარეჯოს პედაგოგიური საზოგადოების სახელით:
ცისმარ ტოკაშაშვილი

ხსოვნა

ნოდარ კოხტაშვილი

უსაშველო და მძიმეა ტკივილი, რომელსაც შენთან განშორება ჰქვია ჩვენო თბილო და ამაგიანო ადამიანო. მთელი შენი შეგნებული ცხოვრება უამრავ ტკივილს იტანდი, ტკივილს, რომელსაც ცხოვრების რთული და ენით აუწერავი, იქნებ სხვათათვის დამთრგუნველი ტალღები გაყენებდნენ. მაგრამ... შენ შენი თბილი გულით, კაცთმოყვარეობის დიდი გრძნობით ვაჟკაცურად უმკლავდებოდი და არასოდეს გიგრძნობინებია სხვათათვის ტკივილი... ტკივილი, რომელიც ჩვენი სიყვარულის გამო გულის კუნჭულში გამოამწყდიე... შენ საოცრად თბილი მამა და პაპა იყავი, რა დაგვავიწყებს შენს მზიან ღიმილს, რომელსაც თვალებიდან წამოსული სითბო და სიყვარული უფრო გვიხალისებდა ჩვენს ლამაზ ბავშვობას და ეს ღიმილი ნათელი ფერებით ასხივოსნებდა ჩვენი შვილების მარადსახსოვარ დღეებს შენთან ერთად, შენს კალთაში გატარებულს.

დიდხანს ვიბრძოლეთ უსაშველო სენთან... არც კი გინდოდა ჩვენთვის გეგრძნობინებინა, რომ მალე აღარ ვიქნებოდით ერთად... გულსატკენია ასეთი თბილი, მშრომელი და საოცრად გულისხმიერი ადამიანის ნაფეხურების წაშლა ამქვეყნიურ სამყაროში, მაგრამ შენ სამაგიეროდ და ჩვენდა დასამშვიდებლად ისევ შენს მიერ განვლილი ცხოვრებით, შენი სითბოთი და სიყვარულით სამუდამო ბინა ჩვენს გულებში დაიდე, მართალია, ტკივილით სავსე, მაგრამ ტკბილი მოგონებებით.

ერთი წელი გავიდა უშენოდ, მამა!

ნათელში გამყოფოს უფალმა.

ნანა კოხტაშვილი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია თანაგრძნობას უცხადებს ამავე მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებს ირმა და ნინო ტიგინაშვილებს დედის

ციური ჩუნთიშვილი-ტიგინაშვილის

გარდაცვალების გამო.